

შპს „მნ გრუპი-2021“ (ს/კ 405473839)

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მნ გრუპი-2021“ რეგისტრირებულია 2021 წლის 21 ივლისს; კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სოფ. დიდლომი, მარიამ უგრელობის #6. მისი ძირითადი საქმიანობაა ფეროსილიკომპანგანუმის გადამუშავება, რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტი;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

დირექტორი: ბურამ თალაკვაძე



ბუღალტერი: ნათელა ბეყოშვილი



უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახალი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახლის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.


ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიას გააჩნია საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენებს წრფივ მეთოდს, კონკრეტული ჯგუფისთვის შესაბამისი სასარგებლო ვადის/თუ სალიკვიდაციო ღირებულების გათვალისწინებით.

ღირუქტორი: გურამ თალაყაძე

ბუღალტერი: ნათელა ბეჟომელი



ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივ მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

დირექტორი: გურამ თაღაჯაძე

ბუღალტერი: ნათელა ბეჟოშვილი



მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ განუხორციელებია ისეთი მოვლენები, ან არ აღმოჩენილა ისეთ გარემოებაში რომელიც არსებითად შეცვლიდა მის ფინანსურ მდგომარეობას ან იქონიებდა გავლენას მის საქმიანობაზე.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39057	151017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	735199	1083817
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახ მარაგები	0	0
მზა პროდუქცია	3496305	1922781
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	79461
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	335740	20717
ძირითადი საშუალებები	8804745	7543299
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	13411046	10801092
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	8016084	25048
სავაჭრო ვალდებულებები	0	0
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	113900	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9010265	10957543
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	3352	157227
სულ ვალდებულებები	17143601	11139818
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატი საემისიო შემოსავალი	933	933
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-3733487	-339659
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-3732554	-338726
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13411047	10801092
სულ მოკლევადიანი აქტივები	4270561	3237077
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8133336	182276

დირექტორი - გურამ თალაყვაძე

ბუღალტერი - ნათია ბეჟომელი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	13782813	0
საქონლის გაყიდვიდან	13782813	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-14953571	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	-1170758	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2288614	35927
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1294339	-3869
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-777908	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-1688530	-118958
იჯარის ხარჯი	0	0
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-750907	-252759
სულ საოპერაციო ხარჯები	-2223070	-339659
საოპერაციო მოგება	-3393828	-339659
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და საც	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი	-3393828	-339659
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3393828	-339659
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასე	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქოქ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3393828	-339659
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-338726	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპე	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	933
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-3732554	-338726

დირექტორი - გურამ თალაკვაძე



ბუღალტერი - ნათია ბეყოშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-111960	151017
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკად	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-111960	151017
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	151017	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	39057	151017

დირექტორი - გურამ თაღაჯაძე



ბუღალტერი - ნათია ბუყოშვილი

